მემორანდუმი

შპს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტსა და ა.ა.ი.პ. საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციას შორის ურთიერთანამშრომლობის შესახებ

ქ.თბილისი 1 ნოემბერი, 2014წელი

შპს თბილისისთავისუფალი უნივერსიტეტიწარმოდგენილი სამართლისსკოლის დეკანის ნათია ხანთაძის სახითდა ა.ა.ი.პ საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია წარმოდგენილი თავმჯდომარის, ზვიად კორძაძის სახით, აღიარებენ რა ორმხრივ ინტერესესს, საქართველოს იურიდიულ ფირმათა ასოციაციასთან თანამშრომლობით,ხელი შეუწყონ იურიდიული განათლებას, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვას, სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1.

მხარეთა თანამშრომლობის მიზანია ხელი შეუწყონ:

ა) სტუდენტებისათვის ცოდნის ამაღლებასა და ხარისხიანი იურიდიული განათლების მიღებას;

ბ) სტუდენტთა სტაჟირებას;

გ)სტუდენტების ჩართულობას პროექტებში, ტრენინგებში, სასწავლო პროგრამებში, საჯარო ლექციებში;

დ)სტუდენტების სამართლებრივი მართლშეგნების დონის ამაღლება;

ე)გამოცდილების გაზიარებას და პროფესიული უნარ-ჩვებების ჩამოყალიბებას;

ვ) ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას;

მუხლი 2.

მხარეთა შორის თანამშრომლობა განხორციელდება შემდეგი ფორმით:

ა)სტუდენტებს მიეცემათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ საქართველოს იურდიული ფირმების ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში;

ბ)საქართველოს იურდიული ფირმების ასოციაციას მიეცემა საშუალება უნივერსიტეტის ბაზაზე ჩაატაროს ერთობლივად დაგეგმილი ღონისძიებები და გამოიყენოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

მუხლი 3.

მემორანდუმის საფუძველზე თანამშრომლობის დამატებითი მიმართულებები და ფარგლები შესაძლებელია განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით

მუხლი 4.

წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები

მუხლი 5.

მემორანდუმიძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

მუხლი 6.

მემორანდუმიშედგენილიათანაბარიიურიდიულიძალისმქონეორეგზემპლარადდაინახებამხა რეებთან.

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტიიურიდიული ფირმების ასოციაცია

ნათია ხანთაძე ზვიად კორძაძე